

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და ნორმატიული აქტების რეგისტრაცია საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ორგანოების, განსაკუთრებით კი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) აქტები ხშირად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია სახელმწიფოს სახელით გაასაჩივროს კანონშეუსაბამო ნორმატიული აქტი შესაბამის სასამართლოში. ამდენად, იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფოს სახელით უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი ფუნქციის განხორციელებას და მის მიერ ბაჟის გადახდა ისევ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ნიშანდობლივია ისიც, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოებრივი ფუნქციების განხორციელებისას მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ საკითხის აუცილებელი გადაწყვეტა განპირობებულია აგრეთვე იმით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების სპეციალურ ანგარიშებზე არსებული თანხების ცენტრალურ ბიუჯეტში გადასვლასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა ხარჯების გაწევა (იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში, ადმინისტრაციულ დავებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა) უკავშირდება, რამდენიმე ეტაპის გავლას, რომელიც გარკვეულ დროს მოითხოვს, ხოლო იუსტიციის სამინისტროს ვალდებულება გაასაჩივროს კანონშეუსაბამო აქტი, გარკვეულ შეზღუდულ ვადებთან არის დაკავშირებული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად. მაგ: ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების გასაჩივრების თვალსაზრისით.

კანონპროექტი არ იწვევს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.